„აბაშის ექსპერიმენტი," რომელიც შრომის საბოლოო შედეგითა და პროდუქციის ხარისხით გლეხის დაინტერესებას ითვალისწინებდა. საყურადღებო იყო ფოთში წამოწყებული ცდაც: შეიქმნა თვითმმართველობის ტერიტორიულ-დარგობრივი ორგანო, ხოლო ქალაქში განლაგებულ საწარმოებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაში წილის შეტანა დაეკისრათ და სხვ.

ედუარდ შევარდნაძის მიერ მისი საქართველოს ხელმძღვანელად დანიშვნისას წამოწყებული ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებისათვის კამპანიური გამოდგა და თანდათან ფორმალიზმში გადაიზარდა. ვერ მოხერხდა ბევრი ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრა. მხოლოდ ერთი რესპუბლიკის ფარგლებში შეუძლებელიც იყო დაეძლიათ თვალთმაქცობა, სიყალბე, მექრთამეობა, პროტექციონიზმი და სხვ. მანკიერებანი, რომლის ჭაობში მთელი საბჭოთა იმპერია იხრჩობოდა.

მდგომარეობა დიდად არც ლ. ბრეჟნევის სიკვდილის შემდგომ შეცვლილა. ბრეჟნევის „მემკვიდრეების" იური ანდროპოვისა და კონსტანტინ ჩერნენკოს მმართველობა სულ რაღაც ორ წელიწადნახევარში ჩაეტია (1982 წლის ნოემბერი—1985 წლის მარტი) და „უძრაობის" ხანას მიეთვალა.

ანდროპოვმა საბჭოთა სისტემის განმტკიცება კორუმპირებული კადრების მასობრივი შეცვლითა და შრომითი დისციპლინის გამკაცრებით მოინდომა. იგეგმებოდა ეკონომიკური რეფორმების გატარებაც, მაგრამ გენერალურ მდივანს ჯანმრთელობამ უმტყუნა. იგი 1984 წლის თებერვალში აღესრულა. მისი შემცვლელი კ. ჩერნენკო იმდენად მოხუცი და სნეული იყო, რომ ვერაფრის გაკეთება მოასწრო და ისე მიიცვალა, მოღვაწეობის კვალიც ვერაფერს დაატყო.

**საქართველო საბჭოთა წყობილების ბოლო ეტაპზე. „გარდაქმნა" და მისი შედეგები.** საბჭოთა იმპერია თავის უკანასკნელ ათწლეულში ტოტალურმა კრიზისმა მოიცვა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ სოციალისტურმა წყობილებამ თავისი განვითარების შესაძლებლობა ამოწურა. კატასტროფა გარდაუვალი იყო, მაგრამ „ბოროტების იმპერია," როგორც მას რონალდ რეიგანმა უწოდა, არსებობას განაგრძობდა. ასეთ ვითარებაში, 1985 წლის მარტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე შედარებით ახალგაზრდა ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი აირჩიეს. გორბაჩოვმა თანამოაზრეთა ბირთვზე დაყრდნობით, რომელშიც შედიოდნენ ალექსანდრე იაკოვლევი, ედუარდ შევარდნაძე და სხვ., პოლიტიკური რეჟიმის რეანიმაცია ე.წ. გარდაქმნის კურსით დააპირა.

გარდაქმნის ძირითადი იდეა რეფორმების მეშვეობით პარტიულ-სახელმწიფო სისტემის მოდერნიზებას, სსრ კავშირის თანამედროვე რეალიებთან და პრობლემებთან ადაპტირებას ითვალისწინებდა. მთავარ ამოცანად კი სოციალისტური სისტემის რღვევის შეჩერება და მმართველი ელიტის — ნომენკლატურის ინტერესების უზრუნველყოფა იკვეთებოდა. გამოცხადდა, რომ სოციალიზმის გადარჩენა შესაძლებელია მისთვის ჰუმანური სახის აღდგენით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპების დამკვიდრებით. ეს ყველაფერი „დაჩქარების" რეჟიმში უნდა განხორციელებულიყო.

„დემოკრატიზაცია" დემოკრატიისაკენ მოძრაობას გულისხმობდა მიზნამდე მიღწევის კონკრეტული თარიღის განუსაზღვრელად, ხოლო „დაჩქარების" ლოზუნგი დაკავშირებული იყო დაპირებასთან, რომ მოკლე დროში ქვეყანაში მკვეთრად ამაღლდებოდა ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობის დონე. რაც შეეხება „საჯაროობას," მას სიტყვის თავისუფლების საზღვრები უნდა გაეფართოებინა.

გარდაქმნის ამ სამი მთავარი მახასიათებლიდან პრაქტიკული ნაყოფი მეტად საჯაროობამ გამოიღო. დაჩქარება მორიგ პროპაგანდისტულ დაპირებად დარჩა, დემოკრატიზაცია კი საბჭოთა სისტემის აღსასრულის ბოლო წლებამდე უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე რეალურს.

საჯაროობის შედეგები მალევე გახდა თვალსაჩინო. შესუსტდა ცენზურა, დაარსდა ახალი ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზიაში დაუშვეს ღია ეთერი, საინფორმაციო საშუალებები აღარ მალავდნენ და სიმართლით აშუქებდნენ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. იბეჭდებოდა წინათ აკრძალული ლიტერატურა, გაუქმდა ბიბლიოთეკების „სპეცსაცავები," ტაბუ მოეხსნა ბევრ გასაიდუმლოებულ თემას, შესაძლებელი გახდა უსამართლოდ შერისხული არაერთი პიროვნების სახელის გაცოცხლება და სხვ.

გარდაქმნის პოლიტიკა შთამბეჭდავად აისახა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაზე. 1987 წელს საბჭოთა ჯარები გამოყვანილ იქნენ ავღანეთიდან, შეწყდა სამარცხვინო ომი, რომელმაც დიდძალი მსხვერპლი და უზარმაზარი სახსრები შეიწირა. 1989-1990 წლებში ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში მშვიდობიანი გზით (რუმინეთის გარდა) დაემხო კომუნისტური რეჟიმები, ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული და დემოკრატიული ძალები. თავი დააღწიეს თუ არა საბჭოთა გავლენას, ეს სახელმწიფოები ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას დაადგნენ.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება. ასევე ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდაცია, სოციალისტური ბანაკის რღვევა და ცივი ომის დასრულება, რომლებმაც სათავე დაუდეს ახალ მსოფლიო წესრიგს.

საერთაშორისო არენაზე თუ საბჭოთა იმპერიის შიგნით მიმდინარე პროცესებს ოპტიმიზმით შეჰყურებდა ქართველი ხალხი. დიდი იყო განახლების სურვილი და მოლოდინი, მაგრამ გარდაქმნის